1913

ნაპალდუღი

ბავშვთა წელიწადი

ჟურნალი

მსჯელ წლოვანოთათვის

ოქტომბერი.

№ 19

ნაკადული

წელიწადი მე-IX. № 19. ოქტომბერი, 1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გაეღვიძოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი:

I —არ გაელვიძოს,—სურ. 1

II —შალვას თავგადასავალი,—(დექსი) სევ. კაკაბაძისა. . 3

III—ჯამბაზი,—ვ. თამრიშვილისა. 9

IV—მახვილაკი ქაიხოსრო,—ბ. ახოსპირელისა. . . 16

V—კატები,—(თარგმ.) ედ. ანტონოვსკისა . . . 18

VI—გასართობი:—რებუსი და აღსნა. . . . 24

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. ჟერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვას თავგადასავალი.

(უძღვნი შალვას).

ადექი, შალვა, ადექი,
ხელ-პირი დაიბანეო,
ტანზე ჩაიცვი, საჩქაროდ
სკოლისკენ გაექანეო.

ამხანაგებმა გიძახეს,
ვერ გაგაგონეს, ვერაო.
ეგელა სკოლაში არიან,
შენ-კი აქა ხარ ჯერაო.

გააღე თვალი, შეხედე,
რძე, პური მოგიტანეო.
ისე არ ჭამო, იცოდე,
ხელ-პირი დაიბანეო.

ასე ეტყოდა დედილო
თავის პატარა შალვასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც მძინარე უსმენდა
დედის ეველაფერ ნათქვამსა.

— ასლავე, დედა, ასლავე,
ხელსაც დაგიბან, ჰირსაო,
ისე არ შეგჭამ, გარწმუნებ,
არც რძეს და არცა ჰურსაო.

დედამაც მას დაუჯერა,
მართლა ადგება შალვაო;
საჭმელს ჭამს, ტანზე ჩაიცვამს,
ჩქარა სკოლაში წავაო.

და ამ იმედით ბაზრისკენ
მშვიდად ის გაეშურაო.
შალვამ, რომ წასვლა შეიტყო,
საბანი წაიხურაო.

მაგრამ საბანის განძრევა,
თურმე ციცუნას ეწყინა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც იმ დროს ლოგინში
შალვას ფეხებთან ეძინა.

წამოდგა და გაიზმორა,
თვალებიც გაახილაო;
მსწრაფლად მაგიდას შეახტა,
რძე ბური რომ იხილაო.

როდესაც დედა დაბრუნდა,
ნახა, რომ შალვას სძინავდა,
სიბანიც გადაეხურა
და ისევ ტკბილად ხვრინავდა.

მაგიდაზედაც რა ნახა,
რომ არაფერი არ იყო,
სიბანი გადააგლიჯა,
უყვირა, რომ ამდგარიყო.

წამოიწია შალიკო,
შეშინებული, საწყალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალის გაღება უჭირდა,
სანამ არ მოხვდა მას წყალი.

— როგორ გაბედე, ეშმაკო,
ჭამა და დაძინებაო?
რად არ იფიქრე, შე ცელქო;
ეს დედას ეწყინებაო?!—

და ერთი კარგად გატეხა,
სულ დაუკარგა მას ძილი.
მსწრაფლ გამოერკვა შალიკო:
მორთო საბრალომ ბღავილი.

— დღეს აღარაფერს გაჭმევო,—
დედა შალიკოს დაჭვირდა;
კარებიც ვადაუკეტა
და სამუშაოდ წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვამ რომ იგრძნო ტყვეობა,
და მიემატა შიმშილი,
თავი დააურდნო მაგიდას,
თან მოუმატა ტირილი.

ამ დროს ციცუნამ ღულუნით
მიუალერსა მტირალას,
თითქოსო გასაჯავრებლად,
კუდი მოუსვა ნაზად მას.

სულ არ იამა ჩვენ შალვას
კატის ასეთი ხუმრობა;
თან გაახსენდა იმისი
რძეზე და ჰურზე სტუმრობა.

სწრაფად წააკლო მას ხელი,
უნდოდა ჯავრი ეყარა.
მაგრამ ცემა რომ დაუწყო,
კატამ კლანჭები იხმარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭკაწრა შალვა საბრალო,
ცხვირ-პირი დასიებოდა.
როცა ტოლებმა შეუტევეს,
სულ ველას ეცინებოდა!

სევ. კაკაბაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯამგაზი.

არსულ შემოდგომაზე შევიდა ბატარა ლექსო სკოლაში და აი, ჯერ მსოლოდ ბირველი გაზაფხულია, მაგრამ ეს-კი სხვა-სხვებით კითხულობს „დედა-ენას“ და ლექსებს ხომ უთვალავს გეტევით.

— ასფურცელა ზღაბარსაც ვიტევი, მაგრამ ერთ ადგილს მეშლება,—ეარცხვენით ჩაილაბარაკებს ლექსო-ბიჭი, როცა „ხაბი ბმის“ ზღაბარს გაათავებს.

ერთ საწყენ ამბავს ვერსად გაექცა ლექსო, მეტად საწყენ ამბავს: გილაანთ თეონას „სალდათში“ მეოფ შვილისგან წერილი მიეღო და წასაკითხად ჩვენი ნასწავლი ლექსო დაიბარეს.

— შენ გენაცვალოს, ლექსო, ჩემი თავი, აგრემც ღმერთი ჩემს სწორს მოგერის, ჩემი სიკოსგან წიგნი მივიღე და წამიკითხე.—შეეხვეწა თეონა.

— მაშ ხელობა რა აქვს, სკოლაში ტეუილად კი არ დადის,—ჩაეშველა ლექსოს მამა.—წადი, შვილო, წაუკითხე, წაუკითხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წავიკითხავ, მაშ არ წავიკითხავ, ისე ჩავაბულბულებ... — სთქვა მხიარულად ლექსომ და გაიქცა მეზობლიანთსა.

გილაანთსა ლექსო დერეფანში ჰატარა სამ-ფეხა სკამზე დასვეს, წერილი სიფრთხილით გამოუტანეს და გარს ორი-სამი ბალღი შემოეხვია.

ლექსომ აატრიალა წერილი, ჩაატრიალა, მაგრამ ვერა-ფერი გაიგო, ვერც თავი და ვერც ბოლო. წერილი გაკრული სოფლური ხელით იყო ნაწერი, თითქოს ზედ ქათმებს ესეირ-ნოსო, თან ასო ნაკლები და ასო მეტი. ლექსოს, ცოტა არ იყოს, შერცხვა, სიწითლემაც დაურბინა ფუნთუშა ლოყებზე, ოფლმაც კი გამოჟონა საფიქრელად შეჭმუხვნილ წარბებთან.

— ვერა ჰკითხულობ, შვილო? — შეეკითხა თეონა.

— რა ვიცი, რაღაცნაირად არის დაწერილი, იკლო-ბი-კლოთ, თორემ „დედა-ენა“ თავიდან ბოლომდისა მაქვს გადა-კითხული. — იმართლა თავი ლექსომ და წერილი უიმედოდ დაკეცა.

ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო იმბავი თოვლის გუნდა-სავით გაიზარდა და უბან-უბან იწყო გორაობა.

— სკოლაში ნასწავლ ბიჭს დამიხედეთ, — იტყოდა ხო-ლმე მეზობლიანთ თებრო ლექსოს დანახვაზე.

— „დედა-ენა“ გად ვიკითხეო, დაახალა ტეუილი ვაჟბატონ-მა. თუ წაიკითხა, იმ წერილის წაუკითხველობას რაღა მი-ქვიანო? — კითხულობდნენ ლექსოს მტერ-მოყვარენი. ლექსო-კი აინუნშიაც არ იგდებდა ამ დაცინვას და გულის ფანცქა-ლით მოელოდა მაისში უსანეთის დღეობას*), საცა ბევრი კარგი ამბები და სანახავები იქნებოდა.

მართლაც და, რა შეედრება გაზაფხულის მიწურულებში უსანეთის დღეობაში წასვლას, როცა ქერები დაიეკით-

*) წმ. გიორგის ხატის დღეობა აღდგომის მე-51 დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს, ბალი დაშაქრდება ⁄ ხომანდული ვაშლი ექელს გიწვევ
გეხვეწება, მოდი მომწევიტეო.

დაახარდახებს ლექსოს მამა ურემს, ლექსო კოფოზედ შე-
მოჯდება სახრით და წინა სადამოს გაუდგებიან დღეობისკენ.

რას არა ნახავს ლექსო დღეობაში, მაგრამ ყველაზე უფ-
რო ჯამბაზ ლეკის მაღლა გაბმულ თოკზე თამაშობის ნახვა
სწყურიან. ამბად, მხოლოდ ამბად გაუგია იბრაგიმა ლეკის
თოკზედ ჯამბაზობა და უფანქალებს ბატარას გული, მოუ-
თმენლობა დაუვლის ტანსა და მოუსვენრად ერთ ადგილს
ცმუკავს.

ჯერ გაზაფხულის მზე არ გადაწვერილიეო, ჭრიჭინას
სიმღერა არ გაეთავებინა და მაღლა სერიდან სოფელში ნი-
ავი არ ჩამოპარულიეო, როცა მამამ ლექსოს სარ-კამეჩი
მოარეკინა და დღეობაში გასამგზავრებლად თავდარიგს შე-
უდგა.

— მოადრებით სჯობია წასვლა, რომ მზის ჩასვლამდის
იქ ვიყვნეთ—დაწყეს ოჯახში გეგმა.

— დედი, მიგიდეთ თუ არა დღეობას, „ბუზიკა“ იმ სა-
ღამოსვე მიეიდე, ჰო? მიეიდი?—ჩაეცინა დედას ლექსოზე
უფროსი კმკმ.

— „ბუზიკა“ მოინდომა ქალბატონმა, თითქოს დიდი
ბრძანდებოდეს!—დედის მაგიერ გამოეხმაურა კეკეს ლექსო,
რომელიც მამას ურემში ჩაბარგებასა შველოდა.

— შენ შენთვის იყავ ემანდ, ვინც არას გკითხავდეს, ნუ
წამოეჩრები სოლმე, თორემ მე ვიცი შენი!..—მკვახედ გაე-
ბასუხა ძმას კმკმ.

— შენ რაღა ხმას იღებ, ხარმაცობისთვის რომ სკოლი-
დან გამოგაგდეს, შე ძილის გუდავ, შენა!.. „ბუზიკა“ არა,
ახლა, თუ არ დაგიშლია, ღაირას გიეიდიან, როგორ არა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა რომ არ ჩარეულიყო, ერთი კოხტა და ლამაზთიანი ჩხუბი გაიმართებოდა და-ძმის შორის.

—არა გრცხვენიათ, რა ჟამი შეგიდგათ, ამ ბედნიერ დღეს მაინც ჩხუბით ნუ ჩაიმწარებთ, რატომ არ ისვენებთ!—დარიგების კილოთი დაუწყო ევედრება დედამ.

— დღეს ლექსო რაღაცას ატეხილა და, მე ვიცი, გამოტეუებს რამეს,—გადმოიძახა ურმის იქიდან მამამ.



როგორც იყო სამხრობისას გადაჩარდახებული ურემი ლექსოიანად ეზოდან გამოვიდა, სოფლის შარა გზაზე ხუთ-ექვს სხვა თავიანთ სოფლელ ურემს შეუერთდა და უსანეთისკენ აუჩქარებლივ გზას გაუდგა. ოთხ-ხუთ ვერსს აღმართ გზას მზის შუბის ტარზე გაივლიდნენ.

ლექსოს მამა მეზობელ მეურმეებთან ერთად ბაასით ურმებს უკან მისდევდა, თვითონ ლექსო-კი ურმის კოფოზედ იჯდა, შავი ყარამანდულის შარვალი, წითელი ხალათი და ზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარა თუშური ქუდი მეტად შვენოდა, შოლტი კისერზე ეკიდა ეგდო და სახრეს კამეჩებს უშრიალებდა, თავისთვის ჩაწეულ სმით ვითომდა „ურმულს“ ამბობდა.

დღეობის სიახლოვე მალე გაიგეს: ხალხის გუგუნი, ზურნის ჭეუტუნი და ჰაერში რეული კვამლი ახლოვდებოდა.

მაღლა მთაზე, სადაც ტახტივით გადაშლილიყო კარგა დიდი მინდორი, რომელიც თითქოს დაბლა ირგვლივ ჩაფენილ ტყეს ქუდად ახურიაო, ჰაწია საყდარი იდგა, დიდი ბებერი მუხა-ცაცხვებით გარს შემორტყმული. არვინ იცოდა, ხნიერობით ვინ ვის აჭარბებდა: საყდარი ხეებს, თუ ესენი საყდარს.

მანამ ურემს გადმოაბარგებდნენ, საქონელს მოუვლიდნენ და ილოცავდნენ, საღამო მიილია; დღეობის მიდამო გამარჯვებულ ჯარის ბანაკს ჰგვანდა: ყველგან სიმღერა, სიცილი, თამაში; ყველასთან მხიარულება კარ-და-კარ ჰირ-მღიმარე დადიოდა და თან ბლომად ბევრი, ბევრი სიამე დაჰქონდა.

ლექსომ ახლა-კი დაღლა იგრძნო, ასე გასინჯეთ ქათმის ბარკლის ჭამაზედაც-კი უარი სთქვა, ურემთან გულადმა გადაწვა მწვანეზე და ცაში ვარსკვლავებსა და მთვარეს თვალიერება დაუწყო. მოკაშკაშე მთვარე მასწავლებლად მოეჩვენა, ვარსკვლავები მოსწავლეებად და ის გაშლილი ლურჯი ცა თავიანთ სკოლად. სცადა კიდეც ვარსკვლავების დათვლა, მაგრამ დედის ნათქვამი მოაგონდა, ხელზე მეჭეჭებს დაგაერისო, და ახრი დათვლისა უკუაგდო. ამასობაში კიდეც ჩაეძინა.

— დაუსურავი დაგდებულა მიწაზე,—თითქოს ბუზღუნით სთქვა კეკეკ და, მანამ დედა მოიცლიდა, ლექსოს მამის ფარაჯა წასურა, თან გულმა ვერ მოუთმინა და ნაჩხუბარ ძმას ერთი აკოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრიან გაადვიძეს ლექსო. ჯერ მზე არცა-კი ამოსულიყო, მაინც ეველა ფეხზე იყო, თითქოს არავის სძინებიაო.

— ადე, შვილო, ჰირი დაიბანე, ჩქარა, დანაერდი და საქონელს მიჰხედე, აგერ შენ მაგიერ კმკე სდარაჯობს. ადე, ნუ გეზარება, ძილს თავი არ მისცე, ადე, ადე, დედა გენაცვალოს!

ლექსოს კი თვალები საძილეთ ელულებოდა, მაინც თავს ძალა დაატანა და წამოჯდა.

აუარებელი სალხი ბუხიკით ირეოდა. ზოგიერთებს ვახშამი საუხმეიდის გამოეეოლებინათ და ჯერაც სიმღერასა და თამაშში იყვნენ. ისმოდა მოგაჯრეთა ძახილი: — აქეთ მობძანდით, იაფად და ჰირიანად იყიდებაო!

სალხის სმაურობა და ცხენების ჭიხვინი ერთმანეთში ირეოდა.

ლექსომ ზლაზვნით ცივი წელით ჰირი დაიბანა, ძილმა გადაუარა, ხელში ჰურის ეუა და ეველის ნაჭერი აიღო და ტეის ნაჰირებს გაჰყვა, საცა ჰატარა ტეიან ბექურზე კმკე ასულიეო და გულმოდგინედ რაღასაც გასცქეროდა.

— კმკე, რას უეურებ? შეეკითხა ლექსო, რომელსაც სრულებით დააეიწყდა გუშინდელი ფიცი, რომ კმკეს თავის დღეში ხმას არ გაეცემო.

— ლექსო, მოდი აქ, ერთი უეურე მზე როგორ ბდღვრიალით ამოდის, რა კარგია! — უძახდა კმკე, რომელიც მთლად ცქერად ქცეულიეო.

დღეობის გასწვრივ შორს, შორს მთების ქოხრიდან მზე თავსა ჰეოფდა და მორცხვი ქალიეით თავს ღრუბლებით იბურვიდა. ცა, თითქოს სირცხვილისგან შეწითლებულიეო და თვით ქალბატონი მზე-კი ღრუბლების ჰირბადიდან ოქროს ფერ ბურთიეითა სხანდა; ღრუბლები, თითქოს გზას უთმობენო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთქლივით ეცლებოდნენ და იმ მაღალ მთის ქოხორშიც ბერ-
რდივით იმალებოდნენ. შორეულ მინდვრებზე კვამლივით ბურუ-
სი აიკრიფა და ვალ-მოსდილ ღამის მესრესავით, შინ წასა-
სვლელად მოემზადა.

ლექსოს ამგვარი სანახავი არა ერთხელ ენახა, ამიტომ
გული არ აჩქროლებია, მხოლოდ სიამეს ვერცხლის წვალივით
სწრაფ დაუარა და კარგ გუნებაზე დადგა.

— კეკე, მოდი ტეის ბირებში ტეემალი მოვძებნოთ!

— ამ დილა-ადრიან ტეემალი რა შვილია, ისევ ტეის
ევავილების კონა შევკრათ და ჩვენებს წაუღოთ. ტეის თეთრი
ვარდი ხომ გიყვარს? გახსოვს, ქუდის ეალამაში რომ გაირჭო-
ბდი ხოლმე!?

ფერდოებზე ჩაფენილი ტეე მწვანეთა ხასხასებს და ოდნავი
ნიავი საკმარისია, რომ ფოთლები ერთმანეთს თავის დაკვრით
გამოეხმაურონ და ჩურჩული დაიწყონ.

ლექსომ თავისი არ დაიშალა და ერთ კუსიან ტეემალზე
აფოფხდა, კეკე-კი ფერდობს ჩაეშვა და ევავილებს და ტეის
თეთრ ვარდს ესტუმრა, თან ეური მახვილად ეჭირა, საქონელი
არსად გადავარდნილიეო.

თუ ამ გარინდებულ ტეეს ცოტა ხანს კიდევ ეურს ათსო-
ვებდით, ვიღაცას ტირილს გაიგონებდით. გამოსაცნობი არვის
ერგება, ცხადია, ვინცა ღრიალებს: ლექსო ტეემლიდან ჩა-
მოვარდა და ეკლებში ჩავარდა, თავ-ბირი დაეკაწრა და წითე-
ლი ხალათი დაეხა. კეკე რომ არ მოშველებოდა, ცუდათ იყო
ლექსოს საქმე: ეკლებიდან ვერ გამოაწევდა.

(დასასრული იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მახვილაკი ქაიხოსრო.

ასაფხულის მშვენიერი საღამო იყო. სოფლის განაპირას, ერთ ტრიალ მინდორზე განცალკევებულიყვნენ სოფლის პატარა ბიჭები და სიცილ-კისკისით და ჭრიამულით ირთობდნენ გულსა. მათ შორის უფროსზე მახვილაკი ენის პატრონი ქაიხოსრო იყო. ვის არ გინდა, მეტ-სახელს უგონებდა, ლექსაობდა, შაირობდა მღეროდა ჯ მხიარულობდა. სულ თორმეტნი იყვნენ. ქაიხოსრომ ამ საღამოს ცხრას უკვე გამოუგონა მეტი სახელი; ლექსებითაც გაბერა და შეამკო, მაგრამ საში კიდევ დარჩა მოუნათლავი. სოლო ეს საშნი—თავადიშვილები იყვნენ; ამიტომ ქაიხოსრო ეოყმანობდა, თავს იქექდა და ხმა ვერ ამოეღო.

ბოლოს სიჩუმე ჩიელიეოაანთ პეტრემ დაარღვია.

— შენ ეი, ქაიხოსრო! სულ გლეხის ბიჭებზე რომ ამბობ ე შაირებსა, ახლა თავადიშვილებზე სთქვა?! არ ეკადრებათ თუ?!—შესძახა პეტრემ.

— აბაიმე!—შახი არ გაიტეხა ქაიხოსრომ,—რატომაც არ ეკადრებათ; რა? ეგენი-კი ჩვენები არ არიან?!

— ჰო-და, აბა სთქვი! —მიაძახა ყველამ.

— ვისიდან დავიწყო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიკო გაბაშვილიდან, გაბაშვილიდან! — აღრიალდნენ ეკელანი.

— სიკოს რომ ეწეინოს?—იკითხა ქაიხოსრომ.

— დედა არ ძომიკვდება, არ ვიწეენ! — დაიყიცა იქვე წამომჯდარმა თორმეტი წლის სიკო გაბაშვილმა.

— ჰო-და, მაშ კარგი! ვიწეობ! ეური დამიგდეთ! სიკო გაბაშვილო, არაფერი გეწეინოს, შენი ჭირიმე! ხუმრობაა!

ვიწეობ:

აბა, შვილო, გაბაშვილო,
არ გაცვია კაბა, შვილო!
ერბო-კვერცხი ბლომათა გაქვს,
მაგრამ არ გაქვს ტაფა, შვილო!
ნელა-ნელა გაისარჯე,
არ დაგადგეს ჯაფა, შვილო;
მაგრამ ხელს-კი ნუ გაანძრევ,
თუ არ გქონდეს სარფა, შვილო!..
ერბო-კვერცხი თუ არა გაქვს,
მოიხარშე ფაფა, შვილო;
ქვაბის ძირზე არ მიგეწოს,
მოიხმარე ჯაფა, შვილო;
როცა გაძღე, გაგორდი და
დაუკარი დაფა, შვილო!..

— ვაშაااა!... — იგრიალეს ემაწვილებმა, — ეოჩაღ, ქაიხოსრო, ეოჩაღ! აბა ახლა შენზე სთქვი, შენზე,—შეეხვეწნენ ქაიხოსროს.

— ჩემზე? ძალიან კარგი! ჩემზე აი რას ვიტეეი:

გენაცვალე, ქაიხოსრო,
რა კარგი გაქვს თავის კოსრო!

— ვაშაااა! კიდევ იგრიალეს ემაწვილებმა და გაქანდნენ მინდორში ჟრიამულით.

ბ. ახოსპირელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კატები.

ევრი საოცარი ამბავია ნათქვამი ძაღლების გონიერებისა და გაბედულობის შესახებ! ათი ძაღლის ამბავზე ერთი კატის ამბავი თუ გამოერევა, მაგრამ არიან იმისთანა ადამიანები, რომელნიც იმ აზრს ადგანან, რომ კატები თავის მძვინვარე მტრებზე ნაკლებ ჭკვიანი არ არიანო. ამბობენ, ვითომც კატები ოთხჯერ მეტნი არიან ძაღლებზე, მარტო ლონდონში ექვსი ათასი კატაა.

ოველი კატის მოყვარული გიამბობს რაიმე ამბავს, ჩვენკი აქ მოვიყვანთ ზოგიერთ შემთხვევას, რომელიც გვიმტკიცებს კატების გონიერებას.

— კატების ამბებში, — ამბობს ლუი ქენი, გამოჩენილი მსატვარი კატებისა და შეუდარებელი მოაბე ამ ცხოველების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ,—ყველაზე მეტად მიყვარს მონასტრის კატის ამბავი. ეოველ დღე, როდესაც დაირეკებოდა სადილისათვის ზარი, ბერები და იმათი კატა შეიყრებოდნენ სასადილო ოთახში და ერთად ისადილებდნენ. ერთხელ ზარის დარეკის დროს, კატა შემთხვევით სახლის მეორე მხარეს იყო დაძწყვდეული და საღამოს გაანთავისუფლეს. ის მაშინვე სასადილო ოთახში შეეარდა, მაგრამ მაგიდები ცარიელი დაუხვდა. ბატარა ბესანს უკან

ლოცვაზე მდგომ ბერებს, შემოესმათ სადილის ზარის რეკის ხმა. გაკვირვებული ბერები შეცვივდნენ სასადილო ოთახში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახეს, რომ კატა ბრჭყალებით დასჭიდებია ზარის თოკს ქანაობს. აი დასამტკიცებელი საბუთი კატის გონიერებისა: სადილს ზარის დაურეკავად არ მოუტანდნენ და ზარის დარეკა იყო საჭირო, რომ სადილი ეჭმიათ.

— ბებია ჩემი გვიამბობს: — ერთ კატის მოყვარულს ჰყავდა ლამაზი კატა, რომელსაც თათი დაუწეწკეს. ასტედა ალიაქოთი, ყველანი რიჩარდის (კატის სახელია) თათს ულოლიებდნენ. თათი ნელ-ნელა ურჩებოდა, მაგრამ ბოლოს სრულად მოურჩა. კატა უწინდებურად თამაშობდა და ცელქობდა, მაგრამ, დაინახავდა თუ არა, რომ ბებიას ლამბაქით რძე მოაქვს, მაშინვე თათს აიკანჭურებდა და კოჭლობას მოჰყვებოდა; იცოდა, რომ ბებია ანებივრებდა, და მხოლოდ იმასთან სჩადიოდა ამ ეშმაკობას.

ქალბატონი ვესტერნი საყურადღებო ამბავს გვიამბობს, თუ როგორ გადაარჩინა ის კატამ უბედურებას. კატა ოჯველთვის კატაა და მხოლოდ თავის განცხრომაზე ფიქრობს... „ორი დღე თავისთვის და ერთი ბატრონისთვისო,“ — ასეთი აზრისანი არიან ბევრნი, რომელთაც არ იციან კატის ზნე-ჩვეულება. მაგრამ ეს ამბავი დაგაარწმუნებთ, რომ ისინი სცდებიან.

— ჩვეულება მაქვს ძილის წინად ჩემ ბატარა ქალს დავსედო და ვაკოცო, მოსამსახურე ქალსაც იმის ოთახში სძინავს. ბებო, კატა, სიამიდან *) მოყვანილი, ყველას საყვარელია და ოჯველთვის ბავშვის ფეხთითა სძინავს. ოთახში რომ შევედი, სანთელი ავანთე, ვნახე, რომ ყველას გულიანად ეძინა, ისევ გამოვედი და კარი ღია დავტოვე. ორი საათი იქნებოდა, რომ მოსამსახურის ყვირილმა „ცეცხლი გვეკიდებაო!“ გაგვაღვიძა. მე და ჩემი ქმარი შეშინებულები შევცვივდით

*) სიამი მხარეა აზიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში. თურმე სანთელი ანთებული დამრჩენოდა, დამდნარიყო, ქალალდს მოჰკიდებოდა, მერე ფარდას და ჭერამდის ასულიყო. ბებოს რომ არ ეშველა, საშინელი უბედურება დაგვატეხებოდა. საშიში მდგომარეობა იგრძნო, წამოხტა ბავშვის საწოლიდან, მოსამსახურეს დაასტა გულზე და დაიკნავლა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თანაც ოთი დაჰკრა ლოყაზე და გაადვიძა.

ჩვენ რომ ოთახში შევცვივდით ცეცხლის გასაქრობად, ბებო საწოლ ქვეშ შეძვრა და საცოდავად კნაოდა, სანამ ცეცხლს გავაქრობდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონი ბარლეი გვიამბობს თავის საყვარელ ჯიბეზე:
ერთ დღეს კატა ჭამის შემდეგ მოვიდა ჩემთან და კიდევ მოთხოვა საჭმელი. როცა მივეცი, არა ჭამა, მხოლოდ მანიშნა წავეოლოდი ბაღში, როცა ბაღში ჩავედით, ის სადღაც გაქრა. მე სამზარეულოში შევედი და ვუთვალთვალებდი. ჩქარა დაბრუნდა და მოიყვანა ერთი საცოდავად გამხდარი და მშიერი კატა, რომელსაც დაანახვა საჭმელი, და იმანაც დაუწყო ჭამა, თითონ-კი განზე დაჯდა და თვალ-ყურს ადევნებდა. ამის შემდეგ ეოველთვის ვამზადებდით საჭმელს უცხო კატისთვისაც, რომელიც მოსუქდა და გალამაზდა. უეჭველად იმან სხვებსაც შეატყობინა, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ სამი თუ ოთხი კატა კიდევ მოვიდა ჩვენთან.

გამოჩენილ მწერალს დიკკენს ძალიან ნებიერი კატა ჰყავდა. ერთ საღამოს დიკკენსის სახლობა სხვაგან წავიდა, თვითონ სანთელი მაგიდაზე დაიდგა და წიგნის კითხვა დაიწყო. უცბად სანთელი გაქრა. დიკკენსმა ყურადღება არ მიაქცია, რის გამო გაქრა სანთელი, ისევ აანთო და ხელი გადუსვა კატას, რომელიც ვედრებით შეჰყურებდა პატრონს. დიკენსმა განაგრძო კითხვა. რამდენიმე წამის შემდეგ აიხედა მაღლა და დაინახა, რომ კატამ თათი ასწია სანთლის გასაქრობად. დიკკენსი მიხვდა კატის სურვილს, დაანება კითხვას თავი და დაუწყო თამაშობა კატას, რომელსაც მარტოობა არ უყვარდა.

პირუტყვებშიაც არიან გულ-შემატკივარნი. ვიღაცამ დანა აძგერა გულში კატას. იარა პირ-ქვეით ჰქონდა და თითონ ლოკვა არ შეეძლო; ცხელოდა, პატრონს ეშინოდა, იარა არ გაავებოდა და ფიქრობდა რითიმე ეშველა. ამასობაში კატა სადღაც გაქრა და რამდენიმე ხნის შემდეგ გასუფთავებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარით დაბრუნდა. ჭრილობიდან ბალანი ამოწმენდილი ჰქონდა და სწორედ გადაშლილი ორ მხარეს.

ორი კვირის განმავლობაში დღეში სამჯერ ამ რიგადვე უვლიდნენ. ვინ იყო ეს მომვლელი? დაუწყეს თვალიერება,— მომვლელი აღმოჩნდა დიდი კატა, რომელიც სახლში არ მოდიოდა. დაჭრილი კატა განსაკუთრებული კნავილით იხმობდა მას, ისიც გადმოხტებოდა ხოლმე ღობეზედ და იარას ურჩენდა. ეს უკანასკნელი თურმე მთელი იმ უბნის ექიმი იყო.

ერთ კაცს ჰყვანდა კატა, რომელიც ერთ დღეს შემოვარდა ოთახში—პირში ბელურა ეჭირა, გაუშო ჩიტი, უნდოდა ჯერ ეთამაშნა და მერე შეეჭამა, მაგრამ გულადი ბელურა ზეზე ადგა, რამდენჯერმე ეცა კატას და პირზე უკბინა. კატა ისე სასტიად დარჩა ბელურას საქციელით, რომ გაექცა, და ამის შემდეგ ორივენი დამეგობრდნენ. ბელურას ფრთა მოტეხილი ჰქონდა—ფრენა არ შეეძლო. ამათ ერთად ეძინათ, ერთად სჭამდნენ და დასეირნობდნენ. როცა კატა ოთახებში დარბოდა, ბელურა ზურგზე უჯდა, ან კატას პირში ეჭირა და ისე დასეირნობდ.

პირველსავე თხოვნაზე გაუშვებდა პირიდან და მანამ ბელურა არ გაძღებოდა, კატა არასა სჭამდა.

ელენე ანტონოვსკისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი კონა გიგინეიშვილისაგან).

,

ქალაქი რაჭაში

ნაცვალ სახელი

,

,

,

კ

,,

ჩ ვ

,

ი

მცირე ანუ?

,,

,

,

მე-18 №-ში მოთავსებულ გეოგრაფიული ამოცანისა და რებუსის ალსნა:

1. თელავი, ბორჯომი, იმერეთი, ლიახვი, იორი, სამურზაყანო, ივერია. პირველი ასოებისაგან გამოდა თბილისი.
2. ივერია.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

„ნაკადული“-ს რედაქციაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

1) **ტომის თავგადასავალი,**—თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი. . . . . 50 კ.

2) **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი. . . . . 20 კ.

3) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი. . . 1 მ. 20 კ.

4) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.

5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . 30 კ.

6) **ბავშვობა და სიყრმე,**—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 60 კ.

7) **ორი მხატვარი,**—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . 15 კ.

8) **სამშობლო ბუნების სარკე,** დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.

9) **შობა,** მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,—ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 5 კ.

10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი,** ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . . 5 კ.

11) **დათო,**—ირ. ევდოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი . . . 5 კ.

12) **მოთხრობები,**—ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა . . . . . 5 კ.

13) **იგავ-არაკნი,**—125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი. . . . . 75 კ.

1913 წ. მიიღება ხელის მოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასურათებულ საუმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეცხრე

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები ლ პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

1913 წელს წლიური ხელის მომწერნი ორივე გამოცემისა **საჩუქრად მიიღებენ ამერ კელ მწერალ ქალის ჰარიეტ ბიჩერ სტოუს რომანს ზანგთ განთავისუფლების დროიდან, „ბიძია თომას ქოხი“**-ს სრულ თარგმანს. **წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული იქნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია.**

თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა ილია ნაკაშიძემ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინ. ბრ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მოაკრიშვილთან. **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან და ვლ. ნაცვალ ძესთან. **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია დომინაძესთან. **ოზურგეთში** ლ **ლანჩხუთში**—დეო იმნაძესთან. **თელავში**—ვახო ბაატაშვილთან. **ახალ-ციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში**—ნინო დომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში**—ივანე კომელაურთან. **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **სილნაღში**—ნ. ახმეტელაშვილთან. **ყარსში**—ივ. საათაშვილთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან. **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**.

გამომცემელი თავ. **პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი**.